| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიდჟეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

ტფილისი, 31 მარტი

ღვინოს სიმაგრისა და გამძლეობისათვის ევროპაში უმატებენ ალკოგოლსა, ესე იგი, გადაწმენდილს არაყსა. ამას ეძახიან ალკოგოლიზაციას. ამ ალკოგოლს უფრო მაშინ ჩაურევენ ხოლმე მაჭარში, როცა პირველი დიდი დუღილი ჰათავდება. გამოჩენილი და ღვინის ანალიზებში ავტორიტეტად ცნობილი ქიმიკოსი ბუსსენგო ამბობს, რომ თუ ღვინოს 18% ალკოგოლი აქვს, ანუ მეტი, იგი ბუნებურ ღვინოდ აღარ ჩაითვლება, იმიტომ-რომ ამოდენა ალკოგოლიანი წვენი ყურძნისა დუღილის უნარს ჰკარგავს და წვენში ნამყოფი შაქარი ალკოგოლად აღარ გადადისო. იგი პირდა-პირ ამბობს, რომ ამ სიმაგრის ღვინო ბუნებური არ არისო.

ამისდა მიუხედავად მაინც ევროპაში ღვინოს გადაწმენდილს არაყს ასხმენ. ამისათვის რა თქმა უნდა, ყოვლად წმინდა არაყსა ჰხმარობენ, იმისთანას, რომელშიაც ალკოგოლისა და წყლის მეტი სხვა არა არის-რა. ბაზარში რომ გადაწმენდილი არაყი (სპირტი) იყიდება ამისათვის ბევრად გამოსადეგი არ არის, რადგანაც იმოდენად გადაწმენდილი არ არის, რამოდენადაც ნაზი ბუნება ღვინოსი ითხოვს. ყველაზედ უკეთესი, ჭაჭისა ანუ თვითონ ღვინისაგან გამოხდილი და განგებ გადაწმენდილი არაყია. ძალიან იშვიათი საშოვარია ამისთანა არაყი ბაზარში, თუ განგებ ამისათვის გადაწმენდილი არ არის. მაგრამ რაც უნდა ძალიან კარგი არაყი იშოვოთ ამისათვის, მაინც განგებ ჩამატებული არაყი ღვინოს უფრო ახდენს, ვიდრე აკეთებს.

ამის დასამტკიცებლად აი რა მოგვყავს. მეცნიერთაგან გამოკვლეულია, რომ თუ არაყი (სპირტი) ჭარბად მიეცით ღვინოს, მაგალითებრ, 5%—6% ღვინო მაშინვე აირევა, აიმღვრევა, რაც უნდა წმინდა ანკარა ღვინო იყოს. ღვინო, რომელიც მინამდე ანკარასავით წმინდა იყო, ძირში ლექს გაიკეთებს და ამასთანავე ფერსაც იცვლის. ქიმიურად რომ კარგად გამოიძიოთ ეს ლექი, ჰნახავთ, რომ ის ესტრაქტული ნაწევარები, ურომლისოდაც ღვინო ღვინო არ არის, ღვინოდამ გამოსულა, გამორიდებულა და ლექში გამოზიდულა.

ცოტა არაყი (სპირტი) რომ ჩაუმატოთ ღვინოს, მაგალითებრ, 2%—3%, მაშინაც ეგევე ამბავი მოხდება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ ხანშივე არა. პირველ ხანში ღვინოს ამ შემთხვევაში არა დაეტყობა-რა, არც აიმღვრევა, არც ფერი ეცვლება. მაგრამ რამდენისამე თთვის შემდეგ, ანუ ერთის წლის მერმედ, თუ ქიმიური ანალიზი მოახდინეთ, იმავ ამბავს ჰნახავთ, რაც წინად თქმულს შემთხვევაში. გამოჩენილმა და სახელოვანმა ქიმიკოსმა შარლ ქირარმა ბევრ გვარად სცადა ზედ მოქმედება არაყისა ღვინოზედ. ამისათვის აიღო ბურგუნდიის ღვინო და 20 ივლისს 1883 წელს ანალიზი გაუკეთა. ანალიზით აღმოჩნდა, რომ ამ ღვინოს აქვს 19,24% ის ექსტრაქტული ნაწევარი, ურომლისოდაც, ვიმეორებთ, ღვინო ღვინოდ არ ითვლება თვით ბუნებურ ღვინის უარ-მყოფელთაგანაც. ეს ღვინო აიღო და ჩაასხა ხუთს ბოთლში. პირველს ბოთლს მარტო 1% წმინდა არაყი (სპირტი) ჩაუმატა, მეორეს—2%, მესამეს—3%, მეოთხეს—4% და მეხუთეს—5%. სამს თთვეს შემდეგ ქიმიური ანალიზი გაუკეთა სამს ბოთლს, რომელთშიაც 1%, 3% და 5% არაყი იყო ჩამატებული. ღვინოში, რომელსაც არაყის ჩამატებამდე 19,24% ექსტრაქტული ნაწევარი ჰქონდა, ეს ნაწევარი ამ ზომისადა აღმოჩნდა:

1% ბოთლში — 16,40% ექსტ. ნაწევარი
3% ბოთლში — 15,84% — —
5% ბოთლში — 15,80% — —

ამ სახით გამოვიდა, რომ პირველმა თითქმის სამი წილი ექსტრაქტული ნაწევარი დაიკლო 19,24 წილიდამ, მეორემ და მესამემ ცოტა მეტ-ნაკლებობით ოთხ-წილამდე.

დანარჩენს ორს ბოთლს ანალიზი გაუკეთა ერთის წლის შემდეგ და რომელს ბოთლსაც 2% არაყი ჰქონდა ჩამატებული, იქ მარტო 15,30% ექსტრაქტული ნაწევარი-და აღმოჩნდა და რომელს ბოთლსაც 4% არაყი ჰქონდა— 14,30%. ქირარმა იფიქრა, იქნება თვითონ ღვინოც უარაყოდაც თავისთავად ასე იცვლება და აქ არაყი არაფერს შუაშიაო. ამისათვის 20-ს ივლისს 1884 წელს წმინდა შეურეველ ღვინოს ანალიზი გაუკეთა და ისევ იმ ზომის ექსტრაქტული ნახევარი აღმოჩნდა, ესე იგი, ასს ნაწილში 19,24. ეს არ იკმარა ფრთხილმა მეცნიერმა. ოცის თთვის შემდეგ კიდევ გაუკეთა ანალიზი შენახულს ბოთლს, რომელსაც 2% არაყი ჰქონდა ჩამატებული და აღმოჩნდა, რომ ექსტრაქტულის ნაწევარის ზომა ბუნებურის ღვინისა ჩამოხდა 19,24-დამ 12,76-მდე. მაშინ-კი სარწმუნო საბუთი მიეცა ამ ამბებიდამ ჯეროვანი დასკვნა გამოეყვანა და მისდა მიხედვით ჩვენ სარწმუნო საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ რაც უნდა წმინდა არაყი ჩაუმატოთ ღვინოს, თუნდა ასს წილში ერთი, ან ორი წილი, ღვინო ამით კი არა კეთდება არამედ რაც დრო გადის, უფრო ფუჭდება და ფუჭდება.

საფრანგეთის მეცნიერი დიუმა ამბობს, რომ ჭარბად მიცემული არაყი პირველშივე აფუჭებს ღვინოსა; ზომიერად და ნაკლებად მიცემული კი—ნელ-ნელა, თან-და-თან დროთა მიმავლობაშიო; რაც უნდა ცოტა არაყი მიუმატოს, ღვინოს თავის დღეში არა ჰრგებსო და ადრე იქნება თუ გვიან, ძლიერ მავნებელს ცვლილებას მოახდენსო.

არმან გოტიეც ამავე აზრისაა. იგი ამბობს, როდესაც ღვინოს უმატებენ განგებ არაყსა, წყალსა, ანუ სხვას რასმე, ღვინო ხელ-მეორედ ადუღდება ხოლმე და ამ უდროო დუღილის გამო ღვინოში იმისთანა სხვა-და-სხვა გვარი წვენი (жидкости) ჩნდება, რომელიც დიდად მაწყინარია ადამიანის ჯანმრთელობისათვისაო.

პარიჟის საექიმო აკადემიაში დაარსებულია სენატის კომისია სახელოვან მეცნიერთაგან, და ამ კომისიას დავალებული აქვს გამოიკვლიოს, რა რიგად მოქმედობს ადამიანის კარგა-მყოფობაზედ სხვა-და-სხვა გვარად შეზავებული ღვინო. ამ კომისიამ დიდის ხნის ცდისა და გამოძიების შემდეგ სთქვა, რომ ევროპიის ღვინოები, რომელშიაც კი ურევენ გადაწმენდილს არაყსა (სპირტსა) იმოდენადვე მაწყინარია, იმ სნეულებასვე უჩენს კაცსა, რასაც ცუდი, დაბალი, გაუწმენდავი არაყი *), იმიტომ-რომ გადაწმენდილი არაყი აფუჭებს ღვინოში იმას, რაც კი ძლიერ სასარგებლო არის კაცის აგებულებისათვისაო. მთელის საფრანგეთის, იტალიის, ვენგრიის და ისპანიის ღვინოები სულ გაფუჭებულია ღვინის მკეთებელთაგან და ამიტომ მაწყინარიაო. ეს არის მიზეზი, რომ ის კაციც, რომელიც ცუდს, გაუწმენდავს არაყსა სვამს, და ისიც, რომელიც ამ ევროპიის ღვინოებსა ჰხმარობს სასმელად, ერთისა და იმავე სენით სნეულდებიანო.

*) ვისაც ჰსურს დაწვრილებით შეიტყოს რა დიდად მავნებელია ადამიანისათვის არაყი საზოგადოდ და დაბალის ხარისხისა საკუთრად—ვურჩევთ წაიკითხოს ლექცია ამ საგანზედ ბუნგესი, რომელიც ფიზიოლოგიურ ქიმიის პროფესორია ბაზელში. ეს ლექცია ამ უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა და რუსულადაც არის თარგმნილი.

## ახალი ამბავი

*** რაც წრევანდელმა დიდმა ზამთარმა დაგვაკლო, ლამის ახლა დიდწყლებმა და წვიმებმა შეგვისრულოს. აგერ ერთი კვირაა წარა-მარად სწვიმს ჩვენს ტფილისში. წვიმები არის, როგორც გვწერენ, ქართლისაკენაც. ამ წვიმებმა და თოვლის დნობამ ისე აადიდა წყლები და პატარა ხევებიც-კი, რომ არე-მარე თან მოაქვთ. მტკვარი ძალიან ადიდებულია. ამ სამის დღის წინად რიყე სულ ხელთ ეჭირა. მოაჯირებს მტკვარმა დიდი ზარალი მისცა. ბევრგან სარდაფებში შეეარდა წყალი და გაავსო. მასუკან წყალმა იკლო, მაგრამ გუშინ კიდევ ადიდდა

# ფელეტონი

### სამეცნიერო ამბები

უმთავრესი მიზეზი მიწის-ძვრისა.—ცივ დედა-მიწას გულში ცეცხლი უღვივის.—ცეცხლის მფრქვევი მთები.—თბილი წყლები.—ღრმა ჭები.—დედა-მიწის კანის სისქე.—წყლის ორთქლის ძალა.—მიწის-ძვრის ნიშნები.—მთვარის გავლენა.—ფალბის წინასწარ-მეტყველობა.—ბევრი კიდევ საიდუმლოა, გამოცანა.—რის იმედს გვაძლევს მეცნიერება?

წარსულს ფელეტონში ჩამოვთვალეთ რამდენიმე მიზეზი, რომელთაც ასე თუ ისე გავლენა აქვთ მიწის-ძვრაზე. მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს შეიძლება ზედ-მოქმედება ჰქონდეთ ჩვენს დედა-მიწაზე, მთელი მსოფლიო ისეა ერთმანერთზე გადაბმული, რომ თუ ერთს ადგილას სადმე რაიმე ცვლილება მოხდა, მეორე ადგილასაც უთუოდ ცოტაოდენი ცვლილება მაინც შეემჩნევა. მაგრამ მაინც წარსულს ფელეტონშიაცა ვსთქვით და დღესაც ვიმეორებთ, რომ მიწის-ძვრის უმთავრესი მიზეზი მიწის გულშია დაფარული, დედა-მიწის გულში აქვს სათავე მიწის-ძვრასა. მაშ უნდა დედა-მიწას გული გადეუხსნათ, ჩავიხედოთ შიგა და გავსინჯოთ, რა აქვს იქ დაფარულად შენახული.

ჩვენი დედა-მიწა შეგვიძლიან კვერცხს შევადაროთ, თუმცა წინადვე კი უნდა გითხრათ, რომ ეს შედარება ისე არ მიიღოთ, ვითომ დედა-მიწა მართლა სრულებით კვერცხსა ჰგვანდეს. ჩვენ კვერცხს მხოლოდ იმიტომ ვადარებთ, რომ მკითხველმა უფრო ადვილად წარმოიდგინოს დედა-მიწის შენობა, აგებულება.

ყველამ ვიცით, რომ კვერცხს გარედგან მაგარი ნაჭუჭი აქვს; ნაჭუჭს ქვეშ თხელი ცილაა და გული. დედა-მიწასაც სწორედ ასე კანი და გული აქვს. დედა-მიწის კანს შეადგენს ის მაგარი, მკვიდრი მიწა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ. დედა-მიწის გული კი ისევე თხელია, როგორც კვერცხის ცილა და გული. კიდევ ვიმეორებთ: ჩვენ ამ გვარ შედარებას იმიტომ მივმართეთ, რომ მკითხველს უფრო ადვილად, თვალ-ნათლად წარმოედგინა დედა-მიწის შენობა, აგებულება, თორემ კვერცხისა და დედა-მიწას შორის დიდი განსხვავებაა. კვერცხის ნაჭუჭი თხელი, ციფჩიფანა რაღაცაა, დედა-მიწის კანს კი 50 ვერსტამდე სისქე აქვს. კვერცხის ნაჭუჭის ქვეშ ცივი ცილა და გულია, დედა-მიწის გულში კი სიცხეა და ისეთი დიდი სიცხე, რომ ყველა მაგარი სხეული, როგორც, მაგალითად, ქვა, რკინა და სხვა ამ გვარი, ისეა გამდნარი და გაცხელებული, როგორც ცეცხლზე ახლად გამდნარი ტყვია.

***

აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ ამ ჩვენ ცივ დედა-მიწას ასეთი ცეცხლი უღვივის გულში. მოიფიქრებდით თუ არა, არ ვიცით, და ასე კია. და ეს რომ მართლა ასეა, ამის დამამტკიცებელი საბუთები ყოველთვის თვალ-წინა გვაქვს.

იქნება გაგეგონოთ, რომ არის ერთ გვარი მთები, რომელსაც „ვულკანებს“, ან ცეცხლთა მფრქვევ მთებს ეძახიან. რად უწოდებიათ ამ მთებისათვის ასეთი სახელი? რადა და იმიტომ, რომ მართლა ცეცხლი ამოსდით ნარღვევიდამ ამ მთებსა. რამდენსამე ხანს ეს მთები მოსვენებულნი, დაწყნარებულნი არიან, მაგრამ თუ ერთი გული ამოიოხრეს, ამოიქშინეს და პირი მოიხსნეს, იმდენს ქვისა, ნაცრისა და შლამის მდუღარეს ამოჰხეთქავს, რომ ხშირად ასის ვერსტის სიშორეზე არე-მარე სრულიად ოხრდება და წაირლენება ხოლმე ამ დუღარით. ამავე დროს ამ მთის გვერდებიდგან შლამის ნიაღვრები მოსკდება ხოლმე, წაჰლეკავს მთელს ქალაქებს, სულიერ და არა სულიერ არსებას, რასაც კი აქ მოასწრობს, ქვეშ დაიტანს და დაჰმარხავს ხოლმე. ეს შლამის ნიაღვრები ისეთი მდუღარეა, რომ შიგ რკინაც კი გადნება.

ან კიდევ აიღეთ თბილი წყლები, რომელიც დედა-მიწიდგან ამოდის. აი თუ გინდ ჩვენის ტფილისის აბანოების წყლები,—ხომ იცით, რა ცხელია ეს წყალი, ზოგში ქათამიც-კი გაითუთქება.

აი კიდევ ღიღრონი ღრმა ჭები, რომელსაც ხშირად ორ-სამ ვერსტის სიღრმეზე ჰთხრიან დედა-მიწაში სხვა-და-სხვა მადნების ამოსაღებად. ამ ღრმა ჭებში ისე თბილა, თითქოს გამთბარს ოთახში ხართო.

რა აცხელებს იმ ქვასა, შლამსა, ნაცარსა, რომელიც „ვულკანებიდგან“ ამოსჩქეფს ხოლმე; რა აცხელებს იმ წყლებს, რომელსაც ჩვენ თბილ მადნეულ წყლებს ვეძახით; დედამიწაში ღრმად რომ ჩავდივართ, რადა თბილა ისე, რომ თითქოს ცეცხლი დაუნთია ვისმეო.

ცხადია, ყველა ეს გაუგებარი, ძნელად მისახვედრი იქნებოდა, თუ არ გვეცოდინებოდა, რომ დედა-მიწის გულში ისეთი სიცხე ტრიალებს, როგორც საკირეში, თუ არ მეტად, სადაც დიდ სიცხისაგან ქვა დაიფშხვნება და კირად ღადიქცევა ხოლმე.

***

მტკვარი. წყალმა თითქმის ერთს არშინამდე მოიმატა.

*** დიდ-წყლობამა და წვიმებმა ბევრგან გააფუჭეს რკინის-გზაცა; ზოგან ხიდები დაზიანდა, ზოგან ლიანდაგი. ხევის ხიდი ძალიან შერყეულა, ქარელსა და გორს შუა მხოლოდ რამდენიმე ვაგონი დადის, ბათუმისკენაც გაფუჭებულა გზები. გუშინ-წინ, 30 მარტს, ბათუმის მატარებელი არ მოსულა ტფილისში, უთუოდ გზის გაფუჭების გამო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებას" განზრახვა აქვს დაბეჭდოს „არჩილიანი", თხზულება მეფე არჩილისა. ამ თხზულების დასაბეჭდად ხარჯი უტვირთნია ერთს ძველის ქართულის სიტყვიერების მოყვარულსა.

*** ამ ჟამად იბეჭდება დიდი ქართული ლექსიკონი პროფესორის დავით იესეს-ძის ჩუბინაშვილისა. ლექსიკონი სულ სამს ტომად დაიბეჭდება და ეღირება 7 მან. და 50 კაპეიკი. ამ ლექსიკონს ჰბეჭდავს თავის ხარჯით ერთი მდიდარი ქართველი, რომელსაც უთხოვნია „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის", თქვენ იტვირთეთ გასყიდვა ამ წიგნისა და მე მხოლოდ 5 მან. დამიბრუნეთ წიგნზეო, დანარჩენი 2 მან. და ათი შაური-კი თქვენის საზოგადოებისათვის შემიწირავსო. საზოგადოებას თანხმობა გამოუცხადებია ამ საგნის თაობაზედ.

*** ქალაქის საბჭომ ორშაბათის, 30 მარტის კრებაზედ დააწესა შემდეგი ფასები ქალაქის მიერ გამოყვანილის წყლის სარგებლობისა: ადგილობრივ, აუზითგან, რომელნიც ხელის ჰურჭლითა, ან ბოჭკებით გაიტანენ— ერთი ვედრა 1/4 კაპ.; მსხვილ-ფეხ საქონლის დასაწყურებლად 1—4 თავამდე 1 კაპ., წვრილ-ფეხისა 1—8-მდე 1 კაპ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ახლად გარდაცვალებულის მიხეილ ალიხანოვის შვილს კოსტანტინეს შეუწირავს ას ოცი (1,200 მ.) თუმანი მიცვალებულის თავის მამის სახელობაზედ სტიპენდიის დასაარსებლად ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში სომეხ-მოსწავლის გამოსაზრდელად.

*** ქუთაისში ამას წინად გამართული იყო წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ მასკარადი. სულ შემოსულა 67 მან. ხარჯს გარდა დარჩენილა, იცით რამდენი... შვიდი მანათი! მადლობის ღირსნი არიან მოთავენი ამ საქმისა, რადგანაც კეთილი განზრახვა ჰქონიათ და დახმარება სდომებიათ ისეთის სამადლო საქმისათვის, როგორიც არის წერა-კითხვის გავრცელება ქართველთა-შორის; მაგრამ რა ესთქვათ თვით ქუთაისის საზოგადოებაზე, რომელმაც ამ სამადლო და კეთილის საქმისათვის მხოლოდ ექვსი და შვიდი თუმანი გაიმეტა. საკვირველია ჩვენი საქმე: გულგრილობა გაგონილა და ამისთანა!?

*** ჩვენ გვწერენ გორიდამ, რომ ნაალდგომევს აქაურნი სცენის მოყვარენი აპირობენ სცენის გამართვას და უნდათ აღდგომის შემდეგ რამდენიმე წარმოდგენა გაჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდაო.

*** იქიდამვე გვწერენ, რომ აზნაურიაანთ ქუჩაზე გადმოვარდა ლიახვი და ორი ოთახი მოგლიჯა წყალმაო.

*** ელიდიკავკაიდამ გვწერენ: 12 მარტს სოფ. ოლგინწკაზედ სამის ვერსტის მოშორებით მოჰკლეს ავაზაკებმა გროზნასკენ მიმავალი სახელმწიფო გზის, „ზასტაოს" უფროსი. ავაზაკებს ყარაული მიეყრათ იქვე ხიდის მოაჯირზედ წვრილის თოკით; თითონ შესულიყვნენ სახლში და ხანჯალი რამდენსამე ალაგას დაეცათ საბრალო უფროსისათვის, მოეკლათ და რაც მოეხელებინათ, სულ წაეღოთ. მეორე დღეს მაზრის უფროსი, ექიმი და გამომძიებელი რომ მივიდნენ, ჰკითხეს ყარაულს, რატომ არ დაიყვირე, როცა მოვიდნენ ავაზაკებიო; ყარაულმა უპასუხა, მეც მოკვლას მიპირებდნენ და იმიტომ ველარ დავიყვირეო. იქვე ახლოს ოცის საჟენის მოშორებით ფოსტის სადგურიც არის და ფოსტის სადგურთან ოც-და-ათი კაცი ყარაულადა სდგას (ყარაულებად ქიშტები არიან), მაგრამ ყარაულებმა სთქვეს, ჩვენ არაფერი არა გაგვეგია-რაო. როგორც გავიგეთ, «ზასტაო»-ს ყარაულიცა და ფოსტის ყარაულებიც დაუტუსაღებიათ.

*** სოფელ ფონიდამ გვწერენ: 26 მარტს სოფელ ფონაში შემაძრწუნებელი უბედურება მოხდა. სოფლის ახლოს ერთს მივარდნილს ღელეში იყო წისქვილი ამავე სოფლის გლეხისა, გვარად ნოზაძეებისა. 26 მარტს ამ წისქვილში მიეტანათ საფქვავი სამს ქალს. პატარა ხანს უკან კლდიდგან მოწყდა აურმე თოვლისა და მიწის ზვავი, დაიტანა ეს წისქვილი და სულ ერთიანად მილეწ-მოლეწა. ის სამი ქალიც მოყვა ამ წისქვილში. ერთი იქვე გამოასალმა ამ წუთი-სოფელს; ორსაც ფეხები აქვს დალეწილი და პირი-სახე დამახინჯებული ისე, რომ მათი მორჩენაც ძალიან საეჭვოა.

როცა მივედით ამ წისქვილთან, საშინელი და გულის ხმთუთქველი ქალის კვნესა და გოდება მოისმოდა იქიდამ. ეს ორი ფეხებ დამტვრეული მალე ამოიღეს, თორემ ნახევარ საათიც რომ დაჰგვიანებოდათ კიდევ, ისინიც ტანჯვით გამოესალმებოდნენ ამ წუთი-სოფელს. იმათი იღბალი კიდევ, რომ ეს უბედურება დღისით მოხდა და მალე უშველეს. მესამე ქალი რამდენისამე საათის შემდეგ იპოვნეს საშინლად მილეწილ-მოლეწილი და დამახინჯებული. ეს უბედური მსხვერპლი სულ იყო 14 ანუ 15 წლის უმაწვილი-ქალი. ესენი სამივე ერთის გვარისანი იყვნენ: სიმონა ნოზაძე, პეტრია ნოზაძე და ამისავე შვილის-შვილი ივგარა ნოზაძე. როდესაც მოვიდნენ ამათი ცოლ-შვილი და პატრონები, შეიქნა ისეთი გამოუთქმელი წივილ-კივილი და თმის გლეჯა. ჩვენ იქ მყოფთ ყველას გული გვეთუთქებოდა მათის ცქერით. ესენი უფრო საცოდავი სანახავი იყვნენ, ვიდრე 17 მარტს ფონსა და წიფას შუა მომხდარ უბედურების გამო დაღუპულნი. მაშინ ცოცხალი მაინც აღარავინ გადარჩენილა და არ გვიყურებია მათის ტანჯვისათვის; ესენი კი საცოდავად იტანჯებოდნენ, აღარც ცოცხლებში იყვნენ და აღარც მკვდრებში. ნეტავი აღმოჩნდეს იმისთანა კეთილი კაცი, რომ ან მათ რამე შემწეობა აღმოუჩინოს და ან მათს ცოლ-შვილს?!

*** იქიდამვე გვწერენ: ამავე დღეს არც სოფელ წიფაში მომხდარა ნაკლები უბედურება, თუმცა კი კაცი არავინ მომკვდარა. ამ სოფელში ჩამოდის პატარა მდინარე, რომელიც ეხლა ძალიან ადიდებული არის, რადგან თოვლი დნება მთებში. ამ მდინარემ სრულიად გაადატაკა ორი გლეხი. მოსტაცა თუ რამე ჰქონდათ და რამ გააჩნდათ. აი ამ ნაირად დარჩნენ უბედურნი უსახლოდ და უსარჩოდ. უშველეთ ამ ცოტა ხანში კიდევ რამე უბედურებას უნდა მოველოდეთ ჩვენ, საცოდავები, რადგან სოფელში თითქმის ყველგან მიწები საშინლად დანგრეულ-დახეთქილია. სოფლებიც იმ ნაირ გვერდობზედ არის გაშენებული, რომ ოდნავ გაინძრეს მიწა, რამე უბედურება აუცილებელი იქნება.

## სია შემწირველთა

წიფასა და ფონის შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლ-შვილის სასარგებლოდ. ჩვენს რედაქციას ფული მოუვიდა შემდეგ შემომწირველთაგან:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| №—საგან . . . . . | 1 | |
| №—საგან . . . . . | 5 | „ |
| №—საგან . . . . . | 1 | „ |
| ალექსანდრე თოიძისაგან გორის რკინის გზის სადგურში შეგროვილი . . | 12 | 50 |
| №—საგან . . . . . | 1 | „ |
| ქ-ბ-ნის კრამერისაგან . . | 3 | „ |
| ბებურიშვილისაგან (ოქრომჭედელი) . . . . . | 1 | „ |
| ქ-ბ-ნის კარაგიბვისაგან . | 1 | „ |
| ვეისისაგან . . . . . | 1 | „ |
| დეკანოზის კალოისტოვისაგან | 3 | „ |
| ოსტაშვილისაგან . . . . | 1 | „ |
| კრანსკისაგან (ოქრომჭედელი) | 1 | „ |
| № - საგან. . . . . . | „ | 20 |
| მაჭავარიანისაგან . . . . | „ | 50 |
| ალექსანდრე ბაქრაძისაგან . | 3 | „ |
| ზარგიცკისაგან . . . . | 1 | „ |
| სულ . . . . . . | 36 | 20 |
| წინანდელი იყო . . . . | 22 | „ |
| სულ . . . . . . . . | 58 | 20 |

## სამეურნეო და სატეხნიკო საზოგადოების კრება

28 მარტს ბ-მა ფონ-ვეისენგოფმა წაუკითხა საერთო კრებას კავკასიის სატეხნიკო და სამეურნეო საზოგადოებისას თავისი მოხსენება ნავოსნობასა და სარწყავ არხებზე კავკასიაში. ამ მოკლე ხანში პეტერბურგის უმაღლესმა მთავრობამ უნდა განიხილოს კავკასიის სარწყავის არხების საქმე და ამისათვის უმნიშვნელო არ იქნება, რომ კავკასიის საზოგადოებამ წარმოსთქვას ამ საგანზე თავისი აზრიო. შემდეგ რეფერანტმა დაწვრილებით და დიდის ცოდნით აგვიწერა ნავოსნობა ამიერ და იმიერ კავკასიის მდინარეებზე და სტატისტიკურ ცნობათა შემწეობით დაამტკიცა, რომ მათი ეკონომიური სარგებლობა სახარბიელო არას წარმოადგენს და ამიტომ უმჯობესი იქნება, ჩვენის მდინარეების წყალი მამულების სარწყავად მოვიხმაროთო. უხსოვარ დროთაგან მტკვარზედ ნავოსნობდნენ კიდეც და მინდვრებსაც რწყავდნენ ამ წყლით, მაგრამ რაკი რკინის გზა გაიმართა, შვრისა, ქერისა და ბრინჯის გატანამ ათჯერ მოიმატა უწინდელ დროსთან შედარებით და ოცჯერაც რომ მოიმატოს, ამისი მიზეზი ნავოსნობა კი არ იქნება, არამედ რკინის გზაო. მართალია, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომ შორის ტყეებიდამ ხე-ტყე ჩამოვატანოთ წყლითა, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სარწყავი არხები უფრო ძრიელ საჭიროა, ვიდრე ხე-ტყის ზიდვაო.

ყუბანის წყლის შესართავის ახლო 50,000 კაცი ძრიელ შეიწროვებულია უწყლობისაგან. იმ სამხრეთს ნაწილს ამიერ-კავკასიისას, რომელსაც არც ერთის ზღვის გავლენა არა სწვდება, ურწყავად ვერა მცენარე ვერ მოჰყავს და მცხოვრებლები უწყლობის გამო დიდს გაჭირვებაში არიან. მართალია, ამ ჟამად ირწყვება უკვე გაჭრილის არხებით თითქმის ერთ-ნახევარი მილიონი დესეტინა, მაგრამ არხები საჭიროა კიდევ ოთხსა და ხუთს მილიონს დესეტინის სარწყავად. თუ წყალს სარწყავად მოვიხმარებთ, მაშინ, რასაკვირველია, ნავოსნობისათვის ძრიელ ცოტა წყალი დარჩება, თუმცა არც ახლაა საქმეო, შეიძლება შლიუზებით და სხვა-და-სხვა გვარის ტეხნიკურის მომართულობით გავამრავლოთ ნავოსნობა მტკვარზედ, მაგრამ ეს 5—6 მილიონი ფული დაგვიჯდება და მაგდენსაც სასარგებლო არ იქნებაო. აი ამის გამო ჩვენ ესლა ყურადღება უნდა მივაქციოთ მარტო სარწყავ არხების ჭრასა და კეთებასაო. შემდეგ ბ-მა ფონ-ვეისენგოფმა სთქვა, რომ მთავრობამ უნდა ყურადღება მიაქციოს რიონის ხეობაზედ ჭაობის გაშრობასაო.

ამის შემდეგ რეფერანტმა სთხოვა საზოგადოებას შეეწყნარა მისი შემდეგი ოთხი აზრი: 1) მდინარის წყალი უსათუოდ მეურნეობას უნდა მოხმარდეს; 2) შეძლებისამებრ გაადვილდეს ხე-ტყის წყლით ჩამოტანა; 3) ნავოსნობა არ უნდა უშლიდეს არც სარწყავ არხების გაყვანას და არც ჭაობების გაშრობას და 4) ყოველისავე საშუალებით ხელი შეუწ-

---

აი სწორედ ასე საკირესავით გახურებულია დედა-მიწის შუა გული, და მიწის-ძვრის უმთავრესი მიზეზიც სწორედ ეს საშინელი სიცხეა. როგორ და რა სახით? აი მეც სწორედ ამის თქმა მინდა ეხლა. ყველა ზემოდ ნათქვამიც იმიტომ იყო საჭირო, რომ ამას ადვილად მიჰხვედრილიყავით. ზემოდ ნათქვამს მხოლოდ ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა მივუმატოთ, რომ უფრო გაგვიადვილდეს იმის გაგება, რასაც ქვემოდ ვიტყვით.

ზემოდა ვსთქვით, რომ დედა-მიწის გულს გარედგან კანი აქვს შემორტყმული და ამ კანსა 50 ვერსტამდე სისქე აქვსო. აქედგან ის კი არ გამოიყვანოთ, ვითომ დედა-მიწის კანს ყველგან ასე თანასწორი სისქე აქვს და ეს კანი ისე მაგრად და კვრივად არის შეკრული, რომ დედა-მიწის გულის სიცხე მარტო 50 ვერსტის სიღრმეზეა და ამაზე ზემოდ არსად ასეთი სიცხე არ მოიპოვება. არა, ეს ასე არ არის. აი თუ გინდ კვერცხიც: ნაჭუჭი თავში უფრო სქელია, ვიდრე ბოლოში. ასეა დედა-მიწაც: ზოგ ალაგას დედა მიწის კანი ისეა გათხელებული, რომ 9 ვერსის სიღრმეზე დედა-მიწის გულის სიცხეა. ასეთი თხელი კანი აქვს დედამიწას მეტადრე იმ ადგილებში, სადაც „ვულკანებია" და ცხელი მადნეული წყლები.

ერთის სიტყვით, ჩვენი დედა-მიწა ცოტა გამქრალს ცეცხლს მოგვაგონებს. ცეცხლი რომ გაქრება და დანელდება, ზემოდამ ფერფლი და ნაცარი-ღა დარჩება ხოლმე. აბა გაქექეთ ეს ნაცარი: ნაცრის ქვეშ ცხელს ღველფს იპოვით კიდევ რამდენისამე დღის შემდეგაც. ამასთან ხშირად იმასაც შეჰნიშნავთ, რომ ზოგი ნაღვერდალი ღრმად არის ჩაფლული, ზოგი ზედაპირადაც დარჩომილა. ასეა ჩვენი დედა-მიწაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნაცრის მაგიერ, აქ ცეცხლს გამაგრებული მიწის-კანი გადაჰკვრია.

ახლა კი შეგვიძლიან დავუბრუნდეთ ისევ მიწის-ძვრას; ახლა კი ადვილად გავიგებთ, რა გავლენა აქვს დედა-მიწის გულსა, მის სიცხეს მიწის-ძვრაზე.

***

ზღვის წყალს ხომ მუდმივ სწოვს, ისვამს მიწა. თუ მიწა, რაიმე მიზეზის გამო, სადმე ბლომად ჩაინგრა, მაშინ ხომ ზღვის წყალი ითქივლებს და უფრო ბლომად შევა დედა-მიწაში. აგრეთვე წვიმის, თოვლის წყალიც ხომ დედა მიწაში ჩადის. თუ წყალს გზაზე დიდი დაბრკოლება არა დაუხვდა-რა, მაგალითად, კლდე ან თიხა, ეს წყალი შორს ჩავა. ვსთქვათ, წყალმა ჩააწვდინა იმ ადგილამდე, სადაც დიდი სიცხეა, ის სიცხე, რომელიც რკინასაც კი ადნობს. რა მოუვა წყალსა? ამას შემდეგი მაგალითი უფრო ცხადად დაგვანახვებს.

ვსთქვათ, ოთახში, რომელიც ყველა მხრიდგან მაგრად დაკეტილია, დიდი ცეცხლი დავანთეთ. დავასხით ამ ცეცხლის ნაღვერდალს ბლომად წყალი,—რა მოხდება? ავარდება საშინელი ორთქლი, და თუ ორთქლს გასავალი გზა არსადა აქვს, ოთახს შეაზანზარებს და, შეიძლება, ფანჯრებიც გაამტვრიოს.

ასეთივე ამბავი მოხდება ხოლმე დედა-მიწის გულშიაც. წყალი ჩავა თუ არა ღრმად დედა-მიწაში და მიახწევს იმ ადგილას, სადაც დედა-მიწის გულის სიცხეა, მაშინვე ცხელ ორთქლად იქცევა ამ სიცხისაგან და მოაწვება დედა-მიწას ქვეშიდგან. თუ ამ ორთქლმა ზემოდ ამოსავლელი გზა იპოვა, ხომ კიდევ კარგი, თუ არა და, საშინელის ძალით შეარყევს, იმდენს მისძრავს-მოსძრავს დედა-მიწას, მანამ სადმე არ გაარღვევს და ამოსავალს ადგილს არ იპოვის.

აი უმთავრესი მიზეზი მიწის-ძვრისა. ხან რომ ოდნავ იძვრის მიწა და ხან კი მთელს ქალაქებს პირ-ქვე ამხობს და საშინელს უბედურებას ატრიალებს, — ესეც ადვილი მისახვედრია, ესეც ადვილად აიხსნება ამ მიზეზით. წყალი უფრო ხშირად ცოტ-ცოტად ჩადის ღრმად ქვესკნელს. თუ კი მიწა სადმე გახეთქილია, გარღვეული, ასე რომ წყალს გზა ეხსნება ქვეშ ჩასასვლელად, მაშინ დიდ-ძალი წყალი ერთბაშად იხუვლებს, ჩავა ქვესკნელს, სიცხეს მოჰხვდება, ორთქლი დატრიალდება, ნაღმისავით იფეთქებს, ამოჰხეთქავს დედა-მიწასა და საშინლად მიანგრ-მოანგრევს ყველაფერს, რაცკი წინ დაჰხვდება.

როცა ვამბობთ, ეს არის უმთავრესი მიზეზი მიწის-ძვრისაო, ჩვენ ამითი იმის თქმა-კი არ გვანდა, რომ იმ მიზეზებს, რომელნიც წინა ფელეტონში დავასახელეთ, არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდეთ. არა, დედა-მიწის ფულურობებიც, მზეც, მთვარეც, „ჰაეროლატებიც" მონაწილენი არიან ამ საქმეში, თუმცა უმთავრესს მიზეზად კი ვერც ერთი ვერ ჩაითვლება. ესენი მხოლოდ ხელს უწყობენ, მეტს ძალას აძლევენ უმთავრესს მიზეზსა. ამათ ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც, მაგალითად, კლდის მოსაგლეჯად ჩადებულს ნაღმს კიდევ სხვა რაიმე ასაფეთქებელი წამალი რომ მივუმატოთ. ნაღმიც მოჰგლეჯდა კლდესა და ამ ასაფეთქებელმა წამალმა მხოლოდ მეტი ძალა შესძინა, მეტი კლდე მოაგლეჯინა ნაღმსა.

***

ყოველს ჰირს ადამიანი იმიტომ უფიქრდება, სწავლობს, რომ ჯერ

ურს სარწყავ არხების გაჭრასა და კეთებასა.

ბ-ნი პსარიოვი დაეთანხმა ფონ-ვიესენგოფს და სთქვა, რომ მინდვრები ირწყვის მთელის 7 თთვის განმავლობაში და ამ გვარი რწყვა სრულიად არ ავნებს ახლანდელ ნავთსნობას, მაგრამ თუნდაც ავნოს, მაინც კიდევ დიდად სანატრელია სარწყავ არხების შესახები კანონი, რომელიც აი ეს 12 წელიწადია რაც ელის დამტკიცებასო.

კრებამ შეიწყნარა ბ-ნის ფონ-ვეისენგოფს აზრები და დაადგინა, ამ საგანზე იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სიღნაღის მაზრა**, 5-ს მარტს. „ივერიის“ 40 და 42 №№-ში დაბეჭდილია ბ-ნ ნარის წერილები კიდევ ჩვენებურ გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობათა ვითარების გამო. ბ-ნს ნარს ხსენებულ ამხანაგობათა ვითარების ავლა-დიდება ამოუკრეფია სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ და სამრეწველო ამხანაგობათა კომიტეტის მეთერთმეტე ანგარიშიდამ. თუმცა ეს ანგარიში უტყუარს საბუთად არის მისაღები, რადგან, როგორც ბ-ნი ნარიც მოგვითხრობს, ზემოხსენებული კომიტეტი ეს მეთერთმეტე წელიწადია ყოველ წლივ გვიხსენიებს თავის ანგარიშში, არ ივიწყებს და ყოველ წელიწადს უხსენებს სახელს იმ ამხანაგობათაც კი, რომელნიც უკვე მიცვლილან და გასდგომიან გზასა მართლისასა; მაგრამ პატივცემულ კომიტეტს ვერაფერი გამგენი ჰყოლიან და დღეს, როგორც ანგარიშიდამა სჩანს, ისეთი ამხანაგობა ჩაურიცხავს ცოცხლებთა რიცხვში, რომლებიც არა ერთი და ორი წელია, რაც განისვენებენ წიაღსა შინა აბრაამისასა. რასაკვირველია, რაკი კომიტეტს ესეთი შეცდომა მოჰსვლია, რომ მკვდარი ცოცხლებში ჩაურევია, ბ-ნი ნარიც მის მიხედვით იმეორებს იმავე შეცდომას და ამ გვარად მკითხველი საზოგადოებაც შემცდარს აზრს ადგენს არსებულთ და არა-არსებულთ ამხანაგობაზედ.

სიმართლის აღსადგენად, აქ უალაგოდ არ მიმაჩნია, განვუზიარო საზოგადოებას ვითომ მოქმედ ამხანაგობათა ავლა-დიდება.

მე აქ, რასაკვირველია, სხვა მაზრის ამხანაგობათა ვითარებას არ შევეხები. ჩემი ყურადღება მიიქცია მხოლოდ ჩვენის მაზრის—ს. კარდანეხის და ს. გურჯაანის ამხანაგობამ, რომელნიც კომიტეტის ანგარიშით დღეს კიდევ მოქმედობენ.

სოფ. კარდანეხის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა დაარსდა 1879 წელსა. პირველ ორს წელიწადს იგი მართლა და საგანგებოდ სწარმოებდა და არა ერთს და ორს სოფლის ქამიას ამოსდო პირში ალვირი. ამ გვარმა წარმატებამ მახლობელი სოფლებიც მიიზიდა და თავის წევრებად მიიღო.

საუბედუროდ ამ გვარი წარმატება დიდ-ხნოვანი არ გამოდგა და მალე იწყო უკუ-ქცევა. უმთავრესი მიზეზი უკუ-მსვლელობისა ის იყო, რომ წესდებას გადავიდნენ. ორს წელიწადში მოტრიალებულ საწევრო ფულიდგან, რომელიც ექვსას თუმნამდე ავიდა, წევრებმა, წესდების წინაალმდეგ, ერთი-ორად და სამად მეტი გაიტანეს სესხად, ვიდრე ეკუთვნოდათ. თვით ამხანაგობის მართველებმაც წესდებისავე წინაალმდეგ გამოზიდეს ფული და ამ გვარად ერთხელ სწორე გზის გადახვევამ მოუსპო სამუდამოდ ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას სიცოცხლე. ის წევრნი, რომელთაც მიეცემოდათ წესდების ძალით 60 მან. და გატანილი კი აქვთ 180 მან., ძლიერ შორს გადგნენ, და არამც თუ აღარა ჰფიქრობენ სესხის დაბრუნებას, პირიქით ჰქადაგებენ კიდეცა, რომ საზოგადოება უნდა დაიშალოსო. უნდა მოგახსენოთ, რომ სოფ. კარდანეხის ამხანაგობის თითქმის ყველა წევრს ასე აქვთ გამოზიდული ფული და, რასაკვირველია, სრულიადაც არა ჰფიქრობენ ვალის გადახდასა.

ამ ოთხის წლის წინად ამხანაგობის დამაარსებელი და თავ-მჯდომარე ბევრსა ცდილობდა, კვლავ გაეცოცხლებინა ამხანაგობა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ახლოც არავინ მიეკარა.

1883 წელს თვითონ მე მიმიწვია ამხანაგობის დამაარსებელმა და მთხოვა ამხანაგობის აწეწილ-დაწეწილი საქმე რიგზედ მომეყვანა. თუმცა ყველა რიგზედ მოვიყვანეთ, ვთხოვეთ კიდეც აქაურს მაზრის უფროსს შემწეობა აღმოეჩინა ამ საქმეში, მაგრამ ყოველმა ცდამ, რომ კვალად გაგვეცოცხლებინა ამხანაგობა, ამაოდ ჩაგვიარა, რადგან არც ერთმა მოვალე წევრმა ახლოს არ გაგვიტარა...

ასე და ამ რიგად, აგერ ექვსი წელიწადია, რაც კარდანეხის ამხანაგობა შემდგარია და არავითარი მსვლელობა საქმეებისა არა აქვს. მართალია, ყოველ-წლივ ზემოხსენებული კომიტეტი სთხოვს ამხანაგობის მმართველთ ანგარიშს, მაგრამ ვინ და ან რა ანგარიშს წარადგენს, როცა აღარც მმართველები არიან და აღარც წევრნი, და მაშასადამე აღარც ამხანაგობა არსებობს. იმის მოწმად, რომ ოდესმე კარდანეხში ამხანაგობა არსებობდა, მხოლოდ ჩრჩილისაგან შეჭმული დავთარ-ვექსილები-ღაა დარჩენილი. უეჭველია, კომიტეტმა ოფიციალურად არ იცის ეს და ამიტომ სთვლის ისევ ცოცხლად კარდანეხის ამხანაგობას, მაგრამ განა სიკვდილის ნიშანი არ არის ის, რომ ექვსის წლის განმავლობაში არავითარი ანგარიში ანუ სხვა ცნობა არ მიუღია, თუმცა ყოველ-წლივ კი თხოულობს ანგარიშსა! ესევე ითქმის სოფ. გურჯაანის ამხანაგობაზე. იმის ოდესმე არსებობის ნიშნადაც მხოლოდ გაყვითლებული დავთარ-ვექსილები-ღა დარჩენილა.

როგორც მკითხველი ჰხედავს, კომიტეტს ორი უკვე მკვდარი ამხანაგობა ცოცხლებში ჰგონია და თუ დავუჯერებთ „დროების“ 181 №-ში 1885 წ. კახეთიდამ მოწერილს ამბავს, სოფ. ყვარელშიაც ამხანაგობას იგივე ბედი სწევია, რა გვარიც კარდანეხისა და გურჯაანის ამხანაგობას.

ერთი სიტყვაც. კომიტეტს და ამის მიხედვით ბ-ნ ნარსაც ვაქირ-ანაგის ამხანაგობა იმ ამხანაგობათა რიცხვში მოუთავსებიათ, რომელნიც მცირე ხანს მაინც არსებულან. ეს ცოტა არ იყოს მეტად გვეუცხოვა. მართალია, აწ განსვენებულმა ნ. ხელაშვილმა დაამტკიცებინა ამხანაგობისათვის წესდება, მაგრამ იმის განხორციელება კი აღარ დასცალებია; ხელაშვილმა ვერ მოასწრო და სხვას კი აღარ უზრუნვია. ასე რომ ვაქირ-ანაგის ამხანაგობა სამართლიანად უნდა ჩაითვალოს იმ ამხანაგობათა რიცხვში, რომელთაც წესდება კი დაუმტკიცებინებიათ და აუყვავებლივ კი დამჭკნარან... შეიძლება სხვა ცოცხლებად ხსენებულ ამხანაგობათაც ესევე ბედი სწვეოდეს, მაგრამ ჩვენ-კი ცოცხლები გვგონია. ურიგო არ იქნება, ვინც უფრო კარგად იცის ჩვენში ამხანაგობათა ვითარება, მკითხველ საზოგადოებას უამბოს და ნამდვილი ამბავი შეატყობინოს ჩვენს ამხანაგობათა ვითარებაზედ, თორემ ჩვენგან შორს მყოფი გამსესხებელ-შემნახველ და სამრეწველო ამხანაგობათა კომიტეტი საქმის ნამდვილ ცოდნაზედაც შორსა ყოფილა.

ი. კახელი

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ამ ახლო ხანებში პრინცის ალექსანდრე ბატტენბერგის დაბადების დღეობა მოდის და ამ დღეობის გამო დიდს სამზადისშია თურმე მთელი ბოლგარია და დიდის ამბით აპირობენ გადახდას.

— გაზეთი „Berliner Tageblatt“-ი ამბობს, რომ ბოლგარიის ჯარში დიდი ნაკლებულებაა აფიცრებისა და ამიტომ სარეგენტო მთავრობა ბოლგარიისა ავსტრიისა და გერმანიის იმ აფიცრებსა ჰნიშნავს ბოლგარიის ჯარში, რომელთაც სლავიანური ენა იციანო.

— ბოლგარიის მთავრობას შეუდგენია ერთი რაზმი ჟანდარმის ჯარისა, რომელსაც მინდობილი აქვს უდარაჯოს ბოლგარიის სამზღვრებს დუნაის ნაპირებიდგან დაწყობილი, სადაც სერბიის სამზღვრებია, ოსმალეთის სამზღვრებამდე, შავს ზღვასთან.

— პარიჟში ხმა გავრცელებიათ, რომ დიდთა სახელმწიფოთა განზრახვა აქვთ ერთად მოიყარონ თავი და ისე შეუდგნენ ბოლგარიის საქმის გადაწყვეტასაო. ამბობენ აგრეთვე იმასაც, რომ გერმანიის კანცლერს ბისმარკს ჰსურს ამ კრების თავ-მჯდომარეობა პაპა ლევან XIII-ს მიანდოს, როგორც ეკლესიის უფროსსაო. ამ კრების მიერ განხილულ იქმნება არამც თუ მარტო ბოლგარიის საქმე და ის, თუ რა მდგომარეობაშია ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში საქმეები, არამედ „უკეჯა“ საქმენი, რომლის გამო ევროპის დიპლომატიას მოლაპარაკება აქვსო.

— ბრიუსელიდგან დეპეშით აუწყებენ გაზეთ «Standard»-ს, რომ ბალკანიის ნახევარ-კუნძულის პატარა სახელმწიფოთა შეკავშირების საქმე თან-და-თან წინ მიდისო. სერბია და ბოლგარია უკვე შეერთდნენ და შეუკავშირდნენ ერთმანერთსა და ამ ცოტა ხანში ამ ორთა კავშირს რუმინიაც შეუერთდებაო. თავადი ბისმარკი და გრაფი კალნოკი დიდს მხარს აძლევენ ამ სამთა ბალკანიის ნახევარ-კუნძულის პატარა სახელმწიფოთა კავშირს და სარჩლს უწევენო. საბერძნეთი უეჭველია ამ სამთა კავშირს არ შეუერთდება, რადგან სულ სხვა გზას ადგა პოლიტიკაში და სულ სხვა ინტერესები აქვსო.

**ინგლისი.** გაზეთ „Times“-ის ფილადელფიელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ნიუ-იორკის სენატმა გარდასწყვიტა: უკველივე წინააღმდეგობა გამოუცხადოთ ირლანდიელ მამულთა-მეპატრონეთ და გლადსტონსა და პარნელს-კი მადლობა გამოუცხადოთ იმის გამო, რომ დახაგრულსა და დამონავებულს ერს მფარველობასა და სარჩლს უწევენო.

— ლორდთა პალატაში გრაფ კროფორდმა ჰკითხა თურმე სტატ-სეკრეტარს: მართალია ის გავრცელებული ამბავი, ვითომ ავღანის ემირსა ჰსურს რუსეთს სამღვთო ომი გამოუცხადოს, თუ არაო? თუ მართალია, ინდოეთიდგან მიიღებდით ამაზედ რამე ცნობასაო. ვიკონტ კროსს უპასუხნია, რომ შეტყობილი-კი მაქვს ეგ ამბავი, ხოლო ეგ გავრცელებული ხმა მე უმნიშვნელო მგონია; მართალი რომ იყოს, ინდოეთის მთავრობა შეგვატყობინებდა მაგაზედ რამე ცნობასაო. მე არა მგონია, რომ ავღანის ემირს მტრობა ჰქონდეს რამე რუსეთის წინააღმდეგო. რაც შეეხება იმ ამბავს, რომ ავღანისტანში დიდი უწესოება და არეულობა სუფევს ამ ჟამადაო, მართალია, ამას წინად ინდოეთშიაც მისულიყო რაღაც ამბავი არეულობასა და უწესოებაზედ, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა და ამიტომ იმ აზრს დავადექით, რომ ავღანისტანში მშვიდობიანობა სუფევს და წესიერება არ არის დარღვეულიო.

---

შეიტყოს, რა არის, საიდგან წარმოსდინდება და მერე, თუ შეიძლება, რაიმე წამალი დასდოს, რომ თავიდგან აიშოროს. მიწის-ძვრის მიზეზსაც სწორედ ამიტომ ეძებდა ადამიანი: თუ-კი ადამიანი რისიმე მიზეზს შეიტყობს, წამლის მოპოვებასაც მაშინ უფრო ადვილად შესძლებს. ან თუ უბედურობა ისეთი უძლეველია, რომ ადამიანი პირ-და-პირ წამალს ვერ დასდებს, არ შეიძლება ისეთი ნიშნები მაინც არის უპოვოს, რომ წინადვე შეიტყოს, სად და რა დროს დაატყდება ადამიანს თავს ეს უბედურება და თუ თავის ქონებას ვერ გადაარჩენს, თავს მაინც უშველის როგორმე.

ამას ძველის დროიდგანვე დაუფიქრდა ადამიანი. ძველის დროის მეცნიერები ბევრსა ცდილობდნენ, გაეგოთ და შეეტყოთ რამე ამ უცნაურ საიდუმლოსი. და აი ზოგი ცის მნათობებს შეჰყურებდა და ფიქრობდა, აქ ვიპოვი ამ ქვესკნელის საიდუმლოს გამოცანასაო; ზოგი ფრინველებს და ცხოველებს ადევნებდა თვალს, რადგან შენიშნეს, რომ ესენი წინადვე ჰგრძნობენ მიწის-ძვრის მოახლოებასა. მართლაც და არა სცდებოდნენ ეს მეცნიერები: ფრინველები და ცხოველები ალღოს იღებენ, წინა-დღითვე ჰგრძნობენ, რომ მიწის-ძვრა უნდა მოხდესო. გარეული ფრინველი და ცხოველი წინა-დღითვე მთებში მიდის, კლდეების საფარ ქვეშ თავს ინახავს. ალღო, წინად-გრძნობა არ ატყუებს ამათ: მთასა და მეტადრე კლდეს მიწის-ძვრა ისეთს ვნებას ვერ მოუტანს, როგორც დაბლობის ფხვიერ მიწასა. ზოგმა კიდევ წყაროებს მიაქციეს ყურადღება. ამასაც მნიშვნელობა ჰქონდა. დღესაც შენიშნულია, რომ მიწის-ძვრის დროსაც და წინა-დღითაც წყაროებში წყალი იმღვრევა, თუნდა ეს წყაროები ასის ვერსის მანძილზე იყოს იმ ადგილიდგან, სადაც მიწის-ძვრა ან უნდა მომხდარიყო, ან მომხდარა.

კიდევ ფიქრობდნენ და დღესაც ბევრია ამ აზრისა, რომ მიწის-ძვრაზე უფრო დიდი გავლენა აქვს მთვარის ცვლილებასაო. მიწის-ძვრა უფრო ხშირია, როცა მთვარე ახლად დაბადებულია და სავსე, ვიდრე მაშინ, როცა მთვარე ივსება და ილევა.

ამ აზრს ადგა, სხვათა-შორის, მეცნიერი ფალბი, რომელიც წარსულს ფელეტონში მოვიხსენიეთ. საკვირველია, რომ ფალბი წინადვე გულთმისნობს და საოცრადაც გულთ-მისნობს: მაგალითად, ნიცის მიწის-ძვრის შემდეგ, 28 თებერვალს, ფალბმა წარმოსთქვა, რომ 20 მარტს კიდევ იქნება მიწის-ძვრა ბალკანის ნახევარ-კუნძულზე, ალბანიასა და ჰერცოგოვინაშიო, და მართლა ასეც ახდა. ფალბი წინასწარ-მეტყველობს და ამბობს, რომ 20 აპრილსაც კიდევ იქნება მიწის-ძვრაო. ვნახოთ კიდევ ახდება ამის წინასწარ-მეტყველობა თუ არა. მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ ფალბის წინასწარ-მეტყველობა მთვარის ცვლილებაზეა დამყარებული.

ესეც შეჰნიშნეს კიდევ, რომ მიწისძვრა ზამთარში უფრო ხშირია, ვიდრე ზაფხულში.

ბევრი კიდევ სხვა ნიშნები შეამჩნიეს, თუმცა ყველა ამ გვარ ნიშნებზე მხოლოდ ის ითქმის, რომ ესენი ზოგჯერ მართლა და წინ უძღვიან მიწისძვრასა, თუმცა ყოველთვის კი არ მოასწავებენ. ყველა ამ ნიშნებს ერთი მეცნიერი კარგად ადარებს თოფის ჩახმახსა. თოფის ჩახმახი უთუოდ უნდა დააცემინოთ, თუ თოფის სროლა გინდათ, თუმცა ამის გამო კი თოფი არ გავარდებაო. თოფი უთუოდ უნდა წამლით იყოს გატენილი, რომ ჩახმახის დაცემაზე გავარდესო.

***

ასე და ამ გვარად დღესაც თუმცა მიწის-ძვრა ბევრში საიდუმლოდ, გამოცანადა რჩება, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მეცნიერება ამასაც ჩქარა ახსნის საიდუმლოს ფარდასა. და თუ ჯერ მეცნიერებას იმოდენა ძალ-ღონე არა აქვს, რომ ამ ქვესკნელს ძალას პირ-და-პირ შეეჭიდოს, გაემკლავოს, იმდენი მაინც შესძლო, რომ ამის გზა-კვალს მიაგნო. აგერ ფალბი წინადვე გულთმისნობს კიდეცა. ფლამარიონი და ერთი ინჟინერი ამის იმედსაც კი გვაძლევენ: მიწის-ძვრა შეიძლება იმოდენად შევასუსტოთ, რომ ისეთი უბედურება აღარ მოახდინოს, როგორც ეხლაო. ინჟინერის აზრი ხომ გახსოვთ, ერთს ფელეტონში გვქონდა ამაზედ ლაპარაკი. მოგაგონებთ მხოლოდ მოკლედ ამ ინჟინერის აზრსა: უნდა „ვულკანი ვეზუვი“ ამოვწმინდოთ, რომ ქვესკნელის ბუღს, ნადუღარს ამოსავალი გზა მივცეთო. რა კი ეს გზა ექნება ქვესკნელს გახსნილი, მაშინ დედა-მიწას ისე ძრიელ ველარ შეარყევსო. ფლამარიონი უფრო მეტს ამბობს: ეს მეცნიერი ურჩევს, გათხარონ დიდრონი, რამდენისამე ვერსტის სიღრმე ჭები, რომ ჯერ ერთი ქვესკნელი უფრო კარგად და დაწვრილებით შევისწავლოთო, და მეორე, ქვესკნელის ბუღს მეტი ამოსავალი გზა მივცეთო.

ყველა ეს იმის უტყუარი საბუთია, რომ მეცნიერება ახლო მისულა და დღეს თუ არა, ხვალ კვალში ჩაუდგება და შეებმება იმ უცნაურსა და საზარელს მტერსა, რომელსაც მიწისძვრას ვეძახით.

დონ-იაგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპეშა

30 მარტი

ვენა. «Montagsrevue» ამბობს, რომ ავსტრიის მთავრობა ოფიციალურს მონაწილეობას არ მიიღებს პარიჟის მსოფლიო გამოფენაში.

ბომბეი. ავღანისტანიდამ შფოთისა და არეულობის ხმები მოდის: ერთს კორრესპონდენციაში სწერია, რომ გილზაიები ქაბულს მიადგნენ და ემირი ფეშავერს გაიქცაო; მეორე გვაუწყებს, რომ ვითომ ემირი უკვე გარდაიცვალა; ქვეთში ხმები ისმის, რომ ვითომ გილზაიებმა დაიპყრეს კელატი და გაემართნენ ყანდაარისაკენ. მეორეს მხრით, ქაბულიდამ იწერებიან 13 (25) მარტიდამ, რომ აქ მშვიდობიანობა არისო, მხოლოდ ემირი, როგორც სტყობა, მოუსვენრად არის, რაკი გილზაიები თავს იყრიან და ერთად იკრიბებიან. გილზაიებმა იერიში მიიტანეს და მოჰკლეს მორავის გუბერნატორი, როცა ეს უკანასკნელი ყანდაარისკენ მიემგზავრებოდა იმ აზრით, რომ მიეშველებოდა ამ ქალაქს და გაეფანტა მეამბოხენი. სამხრეთის გილზაიები ბლომად იკრიბებიან და თავს იყრიან ერთად.

რომი. იტალიის მემკვიდრე პრინცი ავად გახდა არა-გაძნელებულის წითელათი.

ლონდონი. ჰაიდ-პარკში დიდძალი მომხრენი შეიკრიბნენ გლადსტონისა და პარნელისა და წინააღმდეგობა გამოაცხადეს ირლანდიის ახალის სამოსამართლო კანონის გამო. რამდენმამე ორატორმა და მათ შორის პარლამენტის წევრთა სიტყვები წარმოსთქვეს ნაშუადღევის 3 საათსა და 50 წამამდე. უწესოება არა მომხდარა-რა.

31 მარტი

პეტერბურგი. საერო განათლების სამინისტრო მოაგონებს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა, რომ ანგარიში, ბალანსები და სხვა უთუოდ ბეჭდონ გაზეთებში „С-Петербургскія" და „Московскія Вѣдомости" და ამასთან აფრთხილებს: თუ არ აასრულებთ ამასა, ხსენებთლს გაზეთებს შეუძლიანთ თქვენზე საჩივარი შეიტანონ, როგორც პირობების დამრღვეველზეო.

ჟურნალ „Пчелка"-ს ცალკე ნომრებით გასყიდვა აღკრძალულია.

უცხო ქვეყნებიდგან მოტანილს რკინას ბაჟი უნდა დაედოს, თუ არა, — ამის გამო გაზითი „Новости" შემდეგს გვაუწყებს: სამთო უწყების (горное вѣдомство) წარმომადგენელთ გადუწყვეტიათ, რომ დაუყოვნებლივ დაედოს ბაჟი დაბალის ხარისხის რკინას 50 კაპეიკამდე ფუთზე, მაღალის ხარისხისას კი 75 კაპეიკამდეო. გარდა ამისა, განზრახვა აქვთ ცოტ-ცოტად შეამცირონ თუჯის შემოტანა საზღვარ გარეთიდგან, ასე რომ შვიდის წლის შემდეგ სრულიად შეიძლებოდეს თუჯის შემოტანის აღკრძალვა.

გაზეთი „Новое Время" გვარწმუნებს, რომ საზღვარ-გარედ წასასვლელ პასპორტებზე გადასახადის აღება 15 აპრილიდგან უნდათ დაიწყონო.

იგივე გაზეთი კატკოვის თხოვნით, უარსა ჰყოფს იმ ამბავს, რომელიც გაზეთ „Современ. Извѣст."-ში იყო დაბეჭდილი, ვითომ კატკოვს მოლაპარაკება აქვს და უნდა მემკვიდრე ნიკოლოზის ლიცეი მთავრობას მიჰყიდოსო. ლიცეი არავის საკუთრება არ არის და მაშასადამე ამის გასყიდვაც არ შეიძლებაო.

ოდესა. შაქარს ფასი ემატება. ფშხვნილი შაქარი აქამდე 3 მან. და 30 კაპ. ისყიდებოდა, ეხლა 4 მანათამდე ავიდა ფუთი. შაქარი საზღვარ-გარედ გააქვთ. ერთჯერობაზე 10,000 ფუთამდე წაიღეს.

სევასტოპოლში «კონონერკა კუბანეცი» ჩაუშვეს წყალში. ორს სხვა „კონონერკასა" და ჯავშნიან ხომალდს „სინოპს" მაისში ჩაუშვებენ.

ლონდონი. გუშინდელ ყრილობაზე 100 ათასამდე კაცი დაესწრო. უწესოება არ მომხდარა. გლადსტონს დიდის ამბით და ყოფით დაჰხვდნენ.

### პეტერბურგის ბირჟა, 27-ს მარტს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | 9 30 | — › |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | $179\frac{3}{4}$ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — › | $246\frac{1}{2}$ |
| — მეორისა | — › | — › | $230\frac{1}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ტფილ. სის ურთიერთო ნდობი საზო კადოებისა | — › | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

აპრილი 30 დღით არის.

**1 დღე ოთხშაბათი.** დიდი ოთხშაბათი. ღირსის მარიამ ეგვიპტელისა. კათოლ. თეოდორისა, გუგონისა და სტეფანესი. სომეხ. განცემა უფლისა ჩვენისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—23, ჩადის 6—39. მთვარე 21 დღისაა.

**2 დღე ხუთშაბათი.** დიდი ხუთშაბათი. საიდუმლო წმ. სერობა. ღირსისა ტიტე საკვირველ-მოქმედისა. კათოლ. ხსენება ფერხთა ბანვისა. სომეხ. საიდუმლო წმ. სერობა. ხსენება ფერხთა ბანვისა. ერეკლე ბატონიშვილი (თეიმურაზის მეფობის დროს) 4 ხანთან ერთად და 14,000 ქართველებითა და ავლანელებით მტკვრის ნაპირას შეებრძოლა შეკინის ხანს აჯიჩელების. ხანებმა და ავლანელებმა უღალატეს ერეკლეს, დამარცხდა, 1,000-მდე ქართველი დაატყვევეს და თვით ერეკლე-კი გაიქცა და თავი გადაირჩინა, 1752 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—40.

**3 დღე პარასკევი** ვნება, ჯვარ-ცმა და დაფლვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ღირსის ნიკიტა აღმსაარებელისა. კათოლ. რიშარდისა და პლატონისა. სომეხ. ვნება, ჯვარ-ცმა და დაფლვა იესო ქრისტესი. მუსულ მე-22 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—41. მთვარე 23 დღისაა.

**4 დღე შაბათი.** წინა-დღესასწაული. კვირაძალი აღდგომისა. ღირსისა იოსებ მგალობელისა; გიორგისა და პლატონისა. კათოლ. კვირაძალი აღდგომისა. სომეხ. კვირაძალი აღდგომისა და ნავაკატიკი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—42.

**5 დღე კვირა.** წმიდა აღდგომა ქრისტესი. მოწ. თეოდულესი და სვიმეონისა. კათოლ. და სომეხ. აღდგომა ქრისტესი. ხსნილი ქართველთათვის ოთხშაბათ-პარასკევსაც კვირა-ცხოვლამდინ და სომეხთათვის-კი ამაღლებამდის. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება ამიერ-კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა, 1864 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—17, ჩადის 6—43. მთვარე 25 დღისაა.

**6 დღე ორშაბათი.** არხიეპისკ. ევტიხისა და იერემიასი. 120 მოწამეთა, აღსრულებულთა სპარსეთს. კათოლ. ვილჰელმისა და ცელესტინასი. სომეხ. მერელოცი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—44.

**7 დღე სამშაბათი.** ღირსისა გიორგი ეპისკ. და დანიელისა. წმ. მამათა, დავით გარეჯის უდაბნოს მოწყვეტილთა. კათოლ. რუფინისა და ცირიაკისა. სომეხ. ხარება წმ. ქალწულის მარიამისა. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59, ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—45.

**8 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოციქ. იროდიონისა. კათოლ. დიონისიისა და იანუარისა. მუსულ. მაჰმადი წინასწარ-მეტყველად გამოდის. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—39. მთვარე 28 დღისაა.

**9 დღე ხუთშაბათი.** წმ. მოწ. ევფსიხისა. კათოლ. მარიამ კლეოფისა და გუგონისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58; ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—46. მთვარე 29 დღისაა.

**10 დღე პარასკევი.** წმ. მოწ. ტერენტისა, მაქსიმესი და სხ. კათოლ. მაკარიასი და აპოლონისა. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—9, ჩადის 7—49.

**11 დღე შაბათი.** ღირს. იოანესი, მღვდ.-მოწ. ეპისკ. ანტიპასი. კათოლ. ლეონისა და იეზაკიილასი. სომეხ. თავის-კვეთა წმ. იოანე ნათლის-მცემლისა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 5—7, ჩადის 6—50. დაბადება მთვარისა დილის 11 საათსა და 57 წუთზედ.

**12 დღე კვირა.** ღირს. ვასილისა. კათოლ. იულიასი, ზენონისა და ვიქტორიასი. სომეხ. ერკნაზატიკი. გენ.-ლეიტ. კნორინგმა გამოაცხადა ტფილისში მანიფესტი, რომ საქართველო რუსეთს შეუერთდა და დაფიცა ყველა წოდების მკვიდრნი საქართველოსნი 1802 წ. ამ დროს საქართველოს ერს დაუბრუნდა წმ. ნინოს ჯვარი, რომელიც მეფე ვახტანგ VI-მ რუსეთში წაიღო 1724 წ. ეს ჯვარი დასვენეს სიონში. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—6, ჩადის 6—51.

**13 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. არტემონისა. კათოლ. იდასი. სომეხ. მეცხრე დღე აღდგომიდან. მუსულ. დაბადება იმამის ჰუსეინისა (შიიტ.) ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—5, ჩადის 6—52. მთვარე 3 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ლის ხარისხისა | 3 | |
| › 2 › | $2\frac{1}{2}$ | › |
| ქალაქის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | $3\frac{1}{2}$ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ღვაზში | | |
| 1 ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | $3\frac{1}{2}$ | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |
| სუკი | 14 | › |
| ცხვრის ხორცი | 10 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | › | › |
| › 2 › | › | › |

## კერძო განცხადებანი


თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გაჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და საზღვარ გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ გაჭართ იმდენი დაეთმობათ თუთუნის ყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—9)


## სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ, თავის გარდაწყვეტილების თანხმად, თავისავე სამმართველოში დანიშნა საჯაროდ გასასყიდად ბალდასარ სოლომონის-ძის ბეზირგანიშვილის მეოთხედი წილი ყველა იმ მამულებისა, რომელიც ახალციხის მცხოვრებთ ქაჩხოევებისა და ალექსანდრე ბეზირგანიშვილის მემკვიდრეთ განუყოფელს მფლობელობაშია. ეს მამულები იმყოფება სოფელ ზურზელს, გობიეთსა და ქორეთის ტრიალ მინდორთ შორის, ახალციხის მაზრაში. ამ მამულებ შორის არის: 1) სოფელი ზურზალი, რომელშიაც 32 კომლი სახელმწიფო გლეხ-კაცია. ეს მამული ასეა განაწილებული: ა) 557 დესეტინა 1878 ოთხ-კუთხი საჟენი სახნავი მიწა უჭირავთ გლეხებს, 158 დეს. 2398 ოთხ-კუთ. საჟენი სათიბებადა აქვთ; ბ) 18 დესიატინა 1500 ოთხ-კუთ. საჟენი უჭირავთ სხვა-და-სხვა კერძო პირებს; გ) საქონლის გასარეკადა და საზაფხულო საძოვრებად 200 დესეტინა. ყველა ეს ზემოხსენებული მამულები, შემოსავლის დაგვარად დაფასებულია 6,040 მანათად, ხოლო მეოთხედი იმათი დაფასებულია 1,510 მანათად. 2) სახლ-კარის ადგილებად არის 1582 ოთხ-კუთხი საჟენი. ამ მამულს შემოსავალი არა მოაქვს-რა და ამიტომ დაფასებულია 30 მანათად, ხოლო მეოთხედი 7 მანათად და 5 კაპეიკად. 3) სოფელი გობიეთი, რომელშიაც 13 კომლი სახელმწიფო გლეხ-კაცი მოსხვლობს. ამ სოფელში გლეხებს უჭირავთ 176 დეს. და 157 ოთხ-კუთ. საჟ. მიწა სახნავად და 31 დეს. 1681 ოთხ-კუთ. საჟ. სათიბად. კერძო პირთ უჭირავთ 11 დეს. 1611 ოთხ-კუთ. საჟ. ამას გარდა გლეხები ხმარობენ ბაღად და ბოსტნებად 8 დეს. 304 ოთხ-კუთხ. საჟ. საძოვრად დაახლოვებით 50 დეს. და ტყედ—50 დეს. ეს მამული დაფასებულია 1,810 მანათად, ხოლო მეოთხედი—452 მანათადა და 50 კ. სოფ. გობიეთს ახლო არის ორი ნაჭერი მიწა სასახლ-კაროდ და საწისქვილედ 1,046 ოთხ-კუთ. საჟ. დაფასებულია ორი ნაჭერი მიწა 10 მანათად, საწისქვილე—15 მან. სულ ერთად 25 მან. 4) ტრიალი მინდორი ქორეთისა, რომელიც მემამულეთა სრულს მფლობელობაშია: ამ მინდორში 12 დეს. სახნავი მიწაა, 20 დესეტ. სათიბია და 150 საძოვარი. ეს მამული დაფასებულია 2,000 მანათად, ხოლო მეოთხედი მისა 500 მან. ყველა ამ მამულების მეოთხედები გაისყიდება იმ სახელმწიფო ვალის შესავსებლად, რომელიც ჰმართებს სოლომონ ბეზირგანაშვილს. ეს ვალი არის 2,428 მან. $40\frac{1}{2}$ კაპ. ამ მამულების მეოთხედების გასყიდვის ვადად დანიშნულია ამ 1887 წლის 7 მაისს, დილის 11 საათზე. ვაჭრობის განმეორება სამის დღის უკან იქნება.

ამიტომ ვისაც ჰსურს, შეიძინოს ნასყიდობით მეოთხედები ზემოხსენებულის მამულებისა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს დროზედ საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში (присутствіе), საცა შეუძლიანთ ჰნახონ დაწვრილებით აღწერა ამ მამულებისა და მათის გასყიდვის შესახები ყოველგვარი ქაღალდები. (3—1)


# ვენისმაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა.

მაქვს პატივი ვაცნობო ტფილისის პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში ახლად მივიღე ვენიდგან მრავლად საზაფხულო მზადშეკერილი ტანისამოსი, როგორც კაცებისათვის, ისე ყმაწვილებისათვის, უკანასკნელის ფასონებისა; გარდა ამისა მაქვს კიდევ ტანისამოსი მოსკოვისა და ვარშავის წარჩინებულის ფაბრიკანტებისაგან. ფასები ყოველთათვის ხელ-მისაწდომია.

გ. ხუდავერდიანც

(8—4)


Доз. ценз. Тиф. 31 марта 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე